



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №30

2014 წლის 25 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს
სასარგებლოდ მიტოვების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე - საჯარო სკოლის შენობაზე (საკადასტრო კოდი 27.13.45.004, შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 197,20 კვ.მ და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 200 კვ.მ) საკუთრების უფლება გამოცხადდეს მიტოვებულად სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მუხლი 2. ზემოთაღნიშნული ქონების საკუთრების უფლების მიტოვების განცხადების სავალდებულო ძალის მოსაპოვებელი ღონისძიებების ორგანიზაცია (განცხადების ტექსტის შემუშავება, საჯარო რეესტრში შესაბამისი მიმართვის წარდგენა, რეგისტრაცია და სხვა) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (ვ. შალიკაშვილი).

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი